საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-321

12/04/2019

ქ. თბილისი

შპს „მეტეორის“ ნავთობპროდუქტების ბაზაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

მიმდინარე წლის 5 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „მეტეორის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 1997 წლის 26 ნოემბრის N78 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

1997 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „მეტეორის“ ნავთობპროდუქტების ბაზაზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №78; 26.11.1997; ახალციხის მუნიციპალიტეტი, დაბა ვალე, მეორე შახტის მიმდებარე ტერიტორია), თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისათვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2000 წლიდან მეორე შახტის ტერიტორიაზე შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლა, საწარმო აღარ ფუნქციონირებს და შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

2018 წელს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „მეტეორზე“ გაცემული 1997 წლის 26 ნოემბრის N78 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და მასალები გადაიგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. სასამართლომ შპს „მეტეორი“ სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად 79[2]-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში, თუმცა დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მეტეორის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „მეტეორის“ ნავთობპროდუქტების ბაზაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №78; 26.11.1997; ახალციხის მუნიციპალიტეტი, დაბა ვალე, მეორე შახტის მიმდებარე ტერიტორია) ;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მეტეორს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მეტეორის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი